შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.673)

14-21 მარტი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არხილოსკალოში საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოსთვის საჭირო მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის დადგენილება მუნიციპალიტეტის საკრებულომ დღევანდელ სხდომაზე მიიღო. დადგენილების თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2653 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ორი წლის ვადით გადაეცემა. ვადის ამოწურვის შემდეგ კი ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდება.

არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში საბათლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, ქვემო ქედის, არხილოსა და ზემო ქედის მოსახლეობას საშუალება ექნება, ისარგებლოს საჯარო და ყველაზე მოთხოვნადი კერძო სექტორის სერვისებით. მოსახლეობას დაბადების მოწმობის, პირადობის დამადასტურებელი საბუთის, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისათვის მუნიციპალიტეტის ცენტრში წასვლა აღარ მოუწევს. საზოგადოებრივ ცენტრში ასევე განთავსდება გამგებლის წარმომადგენლის ოფისი.

საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება და მასში ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, „ეს მინი იუსტიციის სახლი იქნება ქედების ზონაში. არხილოსკალოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის აქ განთავსება მნიშვნელოვანი იქნება ამ ზონის მაცხოვრებელთათვის, რომლებიც დროსთან ერთად თანხებსაც დაზოგავენ“.

საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის, „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში შეიქმნა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოსთვის საჭირო მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ დადგენილებას საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ვაშლოვანის ნაკრძალთან ბრაკონიერებმა ჯეირანი მოკლეს

ვაშლოვანის ნაკრძალთან, ე.წ. სამუხის ტერიტორიაზე ჯეირანი მოკლეს. ჯეირანი წითელ წიგნშია შეტანილი და მასზე ნადირობა აკრძალულია. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა სატელიტურ საყელოს ერთ—ერთ ფერმაში მიაკვლიეს. ფერმა სასაზღვრო ზოლშია, სადაც მესაზღვრეების სპეციალური ნებართვის გარეშე გადაადგილება შეუძლებელია. პოლიციისთვის ცნობილია იმ 7 ადამიანის ვინაობა, რომლებიც ქურციკის მოკვლამდე 12 საათის განმავლობაში სამუხის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ, მაგრამ ბრაკონიერი ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

ინფორმაცია ქურციკის მოკვლის შესახებ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (ჭჭფ) მონიტორინგის ჯგუფის წევრმა ამირან კოდიაშვილმა გაავრცელა.

„ეს ქურციკები მონიშნული არიან სატელიტური ფორმით. აღჭურვილობა ყოველ 12 საათში ერთხელ გადასცემს იმპულსს. ჩვენ ვაკვირდებით ქურციკების გადაადგილებას და ვიცით როგორ მოძრაობენ. მოხდა საეჭვო გადაადგილება კონკრეტული მიმართულებით, სადაც მანამდე არ ყოფილან. მეორე დღეს ვნახე, რომ სატელიტური აღჭურვილობა გაჩერდა ერთ ადგილზე და ქურციკი არ გადაადგილდებოდა, შესაბამისად იმპულსი აღარ მოდიოდა. ეს შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში. ან უნდა გაფუჭდეს სატელიტური მოწყობილობა, ან უნდა გაანადგურონ. თუ ქურციკი არ მოკლეს, აპარატს ვერ გაანადგურებენ. მაგალითად, დათვმა რომ შეჭამოს ქურციკი, აპარატი იმდენად მაგარია, რომ დათვი მას ვერ დაამტვრევს. დავრწმუნდით, რომ ქურციკი იყო მკვდარი. დავიწყეთ იმის გარკვევა, რა მოხდა. მივედი ადგილზე, სადაც ნიშნული მქონდა. ეს იყო ფერმის ეზო, რაც ნიშნავს იმას, რომ ვიღაცამ ეს ცხოველი ამ ფერმაში მიიტანა. ეს ფერმა არის ტერიტორიაზე, რომელსაც სასაზღვრო პოლიცია აკონტროლებს. ყველანაირი გადაადგილება შეზღუდული და კონტროლირებადია“, —განაცხადა ამირან კოდიაშვილმა.

მისივე თქმით, დაზიანებულ სატელიტურ აპარატს ფერმაში მიაკვლიეს.

„მოვიკითხე მესაზღვრეებში ვინ მოძრაობდა გასულ 12 საათში ამ ტერიტორიაზე, როცა ეს ამბავი მოხდა. საუბარია 7 ადამიანზე, რომელთა ვინაობაც მე არ გამიმხილეს. საქმის კურსში ჩავაყენე ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდიც და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაც. ფონდმა გადაწყვიტა, რომ, რადგან ქურციკების მიმღები იყო ვაშლოვანის ადმინისტრაცია, მას უნდა მოეხდინა რეაგირება. ინფორმაცია აქამდე იმიტომ არ გავავრცელე, რომ მითხრეს, შესაძლოა, ხელი შეგვეშალა გამოძიებისთვის, მაგრამ გონივრული ვადა უკვე გავიდა. ერთი კვირის წინ შევხვდი დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსს, რომელმაც მითხრა, გამოძიება ჩიხშია შესული, ჩხრეკაც ჩავატარეთ, მაგრამ ვერაფერი მტკიცებულება ვერ აღმოაჩინეთო“, — აღნიშნავს კოდიაშვილი.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ ფიროსმანაშვილის ინფორმაციით,

„ტერიტორია, საიდანაც ქურციკი გაქრა, დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში არ შედის. სამუხის ტერიტორიაზე ძირითადად მეცხვარეები არიან. ჩემი აზრით, შემთხვევით ჩასული ადამიანის მიერ არის მოკლული. როცა ჩავედით და ვნახეთ სატელიტი სადაც იყო მიტოვებული, გადავეცით პოლიციას და დაიწყეს მოკვლევა“, — განაცხადა ფიროსმანაშვილმა.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი ბერიძის განცხადებით, 2009 წლიდან დღემდე, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ოთხ ეტაპად სულ 28 ქურციკი გაუშვეს.

„დაცული ტერიტორიების თანამშრომლები და რეინჯერები მაქსიმალურად ზრუნავენ, რომ ბრაკონიერობის ფაქტები იყოს შემცირებული, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ქურციკი მარტო მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა და რეინჯერებმა დაიცვან. ამაში უნდა იყოს ჩართული სასაზღვრო პოლიციაც. კარგი იქნება, თუ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა გვექნება, ასევე ადგილობრივი პოლიციის ჩართულობაც აუცილებელია. ეს არის ეროვნული სიმდიდრე და მათი დაცვა ყველას პასუხისმგებლობაა, თითოეული მოქალაქის“, — აღნიშნა დიმიტრი ბერიძემ.

უკანონო ნადირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 301—ე მუხლით დასჯადი

(გაგრძელება გვ.3)

ბულინგი – საყოველთაო პრობლემა

გვ.3

პრემიერის ქება – დედოფლის წყაროს!

გვ.2

მსოფლიო ჩემპიონი დედოფლისწყაროდან

გვ.6

ჰოეზიაში გაცოცხლებული ქალის ფენომენი



გვ.2

C M Y K

პრემიერის ქება - დედოფლისწყაროს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამგებლებთან, მერებთან და გუბერნატორებთან შეხვედრაზე გასული წელი შეაჯამა და ის ქალაქები და გამგეობები გამოყო, სადაც ეფექტურად და სრულად აითვისეს გამოყოფილი თანხები. კახეთის რამდენიმე რაიონთან ერთად პრემიერმა დედოფლისწყაროც გამოყო და აღნიშნა, რომ ათვისების კუთხით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მოწინავეა.

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, არის გამგეობები და ქალაქები, სადაც ძალიან ეფექტურად იმუშავეს და სრულად აითვისეს თანხები, თუმცა არის რაიონები, სადაც დაბალი ათვისება და ჩამორჩენაა.

– „მე მინდა გამოვყო რამდენიმე მათგანი. დავიწყებ კახეთიდან... სიღნაღი, გურჯაანი, თელავი, დედოფლისწყარო, მათ აქვთ ათვისება 93-94%-ის ფარგლებში. ასევე, სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ადიგენი — აქ 90%-ის ფარგლებშია ათვისება გასულ წელს", — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, დანარჩენ რაიონებს აქვთ შედარებით დაბალი ათვისებები და მოუწოდა მათ, რომ გამოასწორონ სასწრაფოდ.

– „ჩვენთვის მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად დავძლიოთ პრობლემები, რათა მოსახლეობისთვის უმტკივნეულოდ ჩაიაროს მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესებმა და გადავიდეთ წინსვლაზე. ჩვენ მთლიანად კონცენტრირებული ვართ იმაზე, რომ გააქტიურდეს ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებით რეგიონებში, რეგიონალური განვითარება თითოეული მუნიციპალიტეტის და სოფლის დონეზე არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. ასევე მნიშვნელოვანია დავაჩქაროთ ტემპები ინფრასტრუქტურული პროექტების. თითოეული რეგიონისთვის მზადდება განვითარების გეგმა, სადაც სრულად არის ასახული ის პოტენციალი, რომელიც რეგიონში არსებობს. ხდება მობილიზება ადგილობრივი ბიზნესის, პოტენციური ინვესტორების, რათა მათ შევთავაზოთ ახალი პროექტების დაწყება ჩვენი მაქსიმალური ხელშეწყობით. ეს ინიციატივა გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფას, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას,"— განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა იმ პრობლემებზეც ისაუბრა, რომელიც რეგიონების განვითარებას აფერხებს, მათ შორის აქცენტი გააკეთა ბიუჯეტის ათვისებასა და ტენდერებთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. პრემიერმა მოუწოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგად გააცნობიერონ პასუხისმგებლობის საკითხი და მაქსიმალურად გააააქტიურონ მიმდინარე პროექტებზე სამუშაოები.

– „ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ თითოეული პროექტი და სამუშაოების მიმდინარეობა, დავადგინოთ დროულად ხარვეზები და სრულყოფილად აღმოვფხრათ ისინი...მოგიწოდებთ მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციისკენ, პირადად მიაწოდეთ ხალხს ინფორმაცია მიმდინარე პროექტებზე და გაუფრთხილდით იმ ნდობას, რომელიც მათ მოგანიჭათ. ამ ნდობას სჭირდება დაფასება და გაფრთხილება," — აღნიშნა პრემიერმა.

მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაქსიმალურად დავზოგოთ ხარჯები. ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმაც უნდა მიიღოს ზომები, რათა ადმინისტრაციული ხარჯები მაქსიმალურად დაიზოგოს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საუბარია ადმინისტრაციული ხარჯის დაზოგვაზე და შემცირება არცერთ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. გთხოვთ, ყველამ გაითვალისწინოს, რომ ჩვენი რეგიონის მოსახლეობის თითოული თეთრი არის მნიშვნელოვანი და ჩვენ ვალდებული ვართ მაქსიმალურად ვიზრუნოთ იმისთვის, რომ მათ ყოფას არ დაეტყოს დღევანდელი პრობლემები", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ კარგი მემკვიდრეობა დახვდა, რაც იმის წინაპირობა გახდა, რომ პრემიერს გამორჩეულთა შორის დაესახელებინა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ჩემმა წინამორბედმა ირაკლი შიოლაშვილმა კარგად იმუშავა, ინფრასტრუქტურული პროექტები წინა წელს შეიძინა, შემდეგი წლიდან კი პირდაპირ მათი განხორციელება დაიწყო და დრო აღარ დაუკარგავს. ჩვენც ასე მოვიქეცით და საუკეთესო ათვისება ამიტომ გვაქვს. ამდენად, სასიამოვნო იყო პრემიერ-მინისტრის განცხადება. ჩვენ ამისათვის დაუღალავად ვშრომობთ. გარდა ამ თანხებისა, დაახლოებით მილიონნახევარი ლარის კიდევ გამოვყავით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის, რომლებიც წარმატებით განხორციელდა. ამჯერადაც აქტიურად ვმუშაობთ, ტენდერების დიდი ნაწილი გამოცხადებულია, ვგეგმავთ, რომ თუ შარშან 94%-იანი ათვისება ვაჩვენეთ ამჯერად 100%-იანი შესრულება დავაფიქსიროთ. რაც შეეხება შენიშვნებს, აუცილებლად შევეცდებით ხარჯების შემცირებას, თუმცა ეს არ აისახება ინფრასტრუქტურულ და სოციალურ სფეროებზე. თანხების დაზოგვას ძირითადად ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით შევეცდებით. აქვე მინდა ვთქვა, რომ არ იგეგმება კადრების შემცირება.

ილია მარტყოფლიშვილი

პოეზიაში გაცოცხლებული ქალის ფენომენი

გაზაფხულდა, მარტია, ქალთა თვე დედის და ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეებით დამშვენებული. ყველა დღე ქალისაა, ამბობენ ერთნი და ამ დღეების დღესასწაულად ქცევას არ ეთანხმებიან, მაგრამ, დამერწმუნებით ნამდვილად აქვს თავისი ხიბლი, როცა გამორჩეულად ყურადრების ქვეშ ექცევი, სასიამოვნო სიუპრიზებს იღებ, ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები ერთმანეთს გამორჩეულ სითბოს და სიყვარულს ჩუქნიან. სწორედ ასეთი სითბო და სიყვარული სუფევდა კერძო სკოლა „ბენაურის" სააქტო დარბაზი, სადაც დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თავჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით გაიმართა შეხვედრა დედოფლისწყაროელ ქალბატონებთან. მოწვეულ სტუმართა სია მრავალფეროვანი იყო: აქ იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სპეციალობის, მოქმედი და უკვე ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებმაც ათეული წლები თავდადებით იღვაწეს თავიანთ სფეროში და წვლილი შეიტანეს ქვეყნის მშენებლობაში. ისინი საზოგადოებას წარუდგინა მწიგნობართა ასოციაციის თავჯდომარის მოადგილემ და ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ. მან მიულოცა ქალთა დღესასწაულები-მოწვეულ სტუმრებს და სიტყვა ჟურნალისტს და „წარმატებული დედოფლისწყაროელის" ტიტულის მქონე უხუცეს ქალბატონს კლარა ოზაშვილს გადასცა:

- გილოცავთ, ყველას გისურვებთ ჯამთელობას, ხანგრძლივ და ბედნერ ცხოვრებას, წარმატებებს თქვენს საქმიანობაში, მიყვარხართ, ყველას გეფერებით,- თქვა მან.

თავისი კლდემამოსილი პატივისცემა დედის და ზოგადად, ქალის მიმართ იოსებ ნონეშვილის ლექსით დაიწყო დამსახურებულმა პედაგოგმა ეგული ყოჩიაშვილმა.

დამსწრეთ კულტურის მუშაკთა სახელით დედოფლისწყაროს კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის სპეციალისტისტ ლია მაისურაძემ, მედიცინის მუშაკთა სახელით 2006 წლის ნომინანტი „წლის ექთანი" მანანა გოგაშვილი, კვების ტექნოლოგი ციცინო ფიროსმანაშვილი და სხვაები გულთბილად მიესალმნენ და თავისი პატივისცემა გამოხატეს ქალთა მიმართ, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, აგრეთვე 4 შვილის დედამ, საბავშვო ბაღის ღვაწლმოსილმა აღმზრდელმა ციცინო ჩაფიაშვილმა: - ბედნიერი ვარ, რომ დღეს თქვენს შორის ვარ და საშუალება მეძლევა, ყველას მოგილოცოთ კიდევ ერთი გაზაფხულის მოსვლა და ქალთა ლამაზი დღესასწაულები. ათეული წლების მანძილზე ჩემს ხელში გაიარა მრავალმა თაობამ. ზოგიერთი მათგანი უკვე ბებიაც კი არის, ზოგი დედაა, ზოგი გასათხოვარი ქალიშვილი, მინდა ვისარგებლო და თითოეულ მათგანს მივულოცო დედის და ქალის დღეები. ვუსურვო მათ ბედნიერება და სიხარული. მე, როგორც მრავალშვილიანმა დედამ და ბებიამ, მინდა ჩემს ერს გამრავლება და მრავალი წარმატებული ქართველი ვუსურვო.

ქალთა დღესასწაულების მოსალოცად აქ მოვიდნენ დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრები: ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამაზ წიკლაური, ლევან ალავერდაშვილი. მათ ქალებისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსი წაიკითხეს თავიანთი შემოქმედებიდან.

- ქართველ ქალს უდიდესი როლი აქვს მამაკაცის რაინდად ჩამოყალიბების პროცესში, ის არის მუზა ქართული ლექსისა, - თქვა თამაზ წიკლაურმა და ჩვეული მგზნებარებით სიტყვა ლექსით გააგრძელა:

შენა ხარ ჩემი სიმღერის დედა,
მუზა გიწოდეს დიდმა მგოსნებმა,
შენ ქალად იშვი, როგორც ლეგენდა
და ძველი მითის გასხივოსნება,
მე შენ გელოდი, ვით მზის ამოსვლას
ელოდებიან მთების უბეში,
მე შენ გეძებდი, როგორც სალოცავს,
მე შენ მჯირდები, როგორც ნუგეში,
უშენოდ ეოფნა ცრემლის დენაა,
ხამს შენზე ფიქრში სანთლად ვდნებოდე,
სიკვდილ-სიცოცხლე რა ბედენაა
ამქვეყნად რომ არ მეგ ულებოდე"..

ჯუმბერ უთრუთაშვილის ახალი კრებულიდან „გოლგოთა" მრავალი ლექსი მხატვრულად წაიკითხეს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ნინო პოპიაშვილმა.

მოწვეულ სტუმრებს სიმღერებით მიესალმა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე ქეთი ჩაფიაშვილი.

სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლის ყოფილმა დირექტორმა ნანა ჭუჭულაშვილმა მადლობა გადაუხადა ნანა ჭიჭინაძეს მოწვევისა და ერთი ლამაზი, სამახსოვრო დღის ჩუქებისათვის.

ნაირა გორაშვილი

ბულინგი - საყოველთაო პრობლემა

ძვირფასო მკითხველო, დღეს ჩვენ გესაუბრებით თემაზე, რომელიც ყველასათვის კარგად ნაცნობია, რომლის შესახებაც თითოეულ ჩვენგანს ბავშვობის ასაკიდან მიუღია გამოცდილება. მოდით, გადავხედოთ ჩვენს ასაკს წარსულში და გავიხსენოთ, ვინ როდის, რა ასაკში ვმდგარვართ ამ პრობლემის წინაშე და რა ხერხებისთვის მიგვმართავს, მისი თავიდან აცილების მიზნით.

თანამედროვე ტერმინოლოგიით "ბულინგი"-იგივე ჩაგვრა, ბავშვზე, მოზარდზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, ძალიან გავრცელებული, თუმცა ნაკლებად ყურადღებამიქცეული პრობლემაა. სხვადასხვა კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოში გამოკითხული ბავშვების 80%-მა ერთხელ მაინც განიცადა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა,

სტატისტიკა ცალსახად შემაშფოთებელია...

„ბულინგის" წარმოშობის წინაპირობებია: ფიზიკური დეფექტები, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი და ზოგადად, განსხვავებული შეხედულებები, დამამცირებელი მოპყრობა და ა.შ. ეს ყოველივე სათავეს ხშირ შემთხვევაში ოჯახიდან იღებს, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს ამ პრობლემას კომპიუტერული თამაშებიც ახალისებს.იგი ყველაზე მწვავედ 10-18 წლის მოზარდებშია გამძაფრებული. ჩვენ ხშირად ძალადობას ოჯახურ ჭრილში განვიხილავთ და გვავიწყდება, რომ უფრო აქტუალური და საშიშია მოზარდთა შორის ძალადობა, იგი არის ერთგვარი ტრადიცია მათ შორის დამკვიდრებული ურთიერთობის სტილისა "ლიდერი და გარიყული".

ჩვენ დავინტერესდით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენი რაიონის მოზარდებს შორის და გავესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის ბავშვებს,მაგრამ მანამდე მოგითხრობთ ბულინგთან შეხების ფაქტებს პირადი ცხოვრებიდან. ეს პრობლემა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 10-18 წლის ასაკში მძაფრდება, სათავეს სკოლამდელი ასაკიდან იღებს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როდესაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო რაიონის ერთი საბავშვო ბაღიდან მეორეში მომიწია გადასვლა , როგორც "ახალმისული", უფროსი ჯგუფის ორმა 7 წლამდე ასაკის გოგონამ ერთ-ერთის ძმის თანხლებით (შემდგომში ისინი ჩემი კლასელები და მეგობრები იყვნენ) ჯგუფის ერთ კუთხეში მიმიწვიეს და ვციტირებ:

-ჩვენ ამ ბაღში „მთავარი ქურდები" ვართ, ამიტომ დღეიდან, როგორც ახალი მოსწავლე, შენ ჩვენს წესებს დაემორჩილები!- მკაცრი ტონით გამაფრთხილეს.

ეს ჩემთვის პირველი, იმდენად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო, ჩემთვის, რომ ზუსტად მახსოვს, პასუხი არ გამიცია, მხოლოდ გაოცებული აქეთ-იქით ვიყურებოდი, ალბათ იმის დასაზუსტებლად, თუ სად მოვხვდი...მე დღეს ამ საკითხზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებდი, ეს რომ უბრალოდ ბავშვური გართობა ან ერთეული შემთხვევა ყოფილიყო. როგორც შემდეგ დავაკვირდი, „ისინი" იქ ლიდერობდნენ და სხვადასხვა მეთოდებით სხვადასხვა დროს ცდილობდნენ ბავშვების დამორჩილებას. ამას იქ ვერავინ ხვდებოდა... ვინმეს შეიძლება გაეცინოს და მეც იმ "ჩემს გოგოებთან" ერთად მერე ბევრი მიცინია, მაგრამ იმ წუთას სულ არ იყო სასაცილო...მაშინ, 35 წლის წინ, ის იყო ჩემი პირველი, ბავშვობისდროინდელი ტრავმა, რომლის მერეც ვისწავლე, როგორ უნდა დაიცვა თავი, არ დაემორჩილო არავის, არ შეასრულო ვინმეს დავალება(ვგულისხმობ თანატოლებს), იყო თავდაჯერებული...უკვე მოზრდილ ასაკში, ძალიან მსუბუქ ფორმებში, მაგრამ მაინც, გამიწევია ფსიქოლოგიური ბულერობა თანაკლასელის ან თანატოლის მიმართ, რის გამოც დღეს მრცხვენია, მაგრამ ეს პრობლემა, ვფიქრობ, ყველა ადამიანს შეხვედრია და რაც უფრო ღიად ვისაუბრებთ მასზე, შეიძლება მეტი გამოსავალი მოვნახოთ.. მაშინ, „უძრაობის ხანაში" ჩაკეტილ სივრცეში(ქვეყანაში) ვცხოვრობდით და ოჯახების უმრავლესობაც ტაბუდადებული თემებით ცხოვრობდა, ნებისმიერ პრობლემაზე ხმამაღლა საუბარს ყველა გაურბოდა, აღზრდის მეთოდებიც სრულიად განსხვავებული იყო. დღეს არ ამართლებს მეთოდი, ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ და მეორე უნდა მივუშვირო(ასე გვზრდიდნენ ჩვენი თაობის ბავშვებს სკოლაშიც და ოჯახშიც), მე ჩემს ბავშვებს ვასწავლი, რომ ეცადონ, არ შევიდნენ ვინმესთან კონფლიქტში, არ მიიყვანონ საქმე იქამდე, ვინმემ რომ დაარტყათ, მაგრამ თუ დაარტყამენ, მყისიერად დარტყმითვე უნდა უპასუხონ...წინააღმდეგ შემთხვევაში:"თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო", დიდი ილიას ეს სიტყვები რეალურ ცხოვრებაში დღესაც აქტუალურია...

ახლა კი, ერთგულო მკითხველო, გთავაზობთ რესპოდენტთა მიერ გამოთქმულ აზრებს და დასკვნა თქვენთვის მოგვინდია.

ნინო, 45 წლის: -მეც, როგორც ყველა ადამიანი, გარდატეხის ასაკში რაღაც ფორმით მიძალადია თანატოლებზე. ერთ მაგალითს გავიხსენებ. მერვე ან მეცხრე კლასში ვიქნებოდი, ძალიან დიდი თოვლი იყო, ერთი თანაკლასელი გოგონა კარგა ხანი "ძალით" მიმეგობრდებოდა, მე არ მინდოდა მასთან მეგობრობა, მაგრამ სულ უკან დამყვებოდა, ერთხელაც ამ დიდ თოვლში მივდივართ, მე ჩექმა მაცვია,მას ტუფლი, სპეციალურად, სადაც ყველაზე მაღალი თოვლი იყო, იქ დავდიოდი, რომ მას ჩემს გვერდით ვერ გამოევლო, ახლა რომ მახსენდება, ძალიან მრცხვენია...

ნათია, 17 წლის: - ჩემს სკოლაშიც ხშირად შევსწრებივარ შარიანობის, ე.წ. ბულინგის ფაქტებს. სიტუაცია თითქმის ყოველთვის ერთნაირია-მოზარდთა ჯგუფი, რომელიც ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად ძალისმიერ გზას ანიჭებს უპირატესობას, ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს ან ფსიქოლოგიურად დაჩაგროს მათზე შედარებით "სუსტი" ბავშვი.ხშირად მოზარდები აქეზებენ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს საჩხუბრად, გულშემატკივრობენ მათ.მათ არ ესმით, რომ ამ "პატარა" დაპირისპირებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას.

რა თქმა უნდა,მე ვგმობ ზემოთაღნიშნულ ფაქტებს, რადგან ვფიქრობ, რომ სკოლა არის დაწესებულება, სადაც თითოეული მოზარდი უნდა ავითარებდეს ლიდერულ თვისებებს!

გიორგი, 11 წლის: ჩვენს კლასშიც ხშირად ხდება ძალადობის ფაქტები, ჩვენი სკოლის დირექტორი მაშინვე იგებს ამ ფაქტების შესახებ და ერთმანეთს შეარიგებს ხოლმე კონფლიქტში მონაწილე ბავშვებს, მაგრამ ზოგჯერ პედაგოგები ვეღარ იგებენ,რადგან კონფლიქტი სკოლის გარეთ გრძელდება. მე ვგმობ ძალადობას, ნებისმიერი სახით გამოვლენილს!

ძვირფასო მკითხველო, ეს არასრული ჩამონათვალია ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთაგან. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა თანხმდება ერთ მთავარ ნაწილში- ძალადობა, ნებისმიერი სახის, გინდ ფსიქოლოგიური, გინდ ფიზიკური, კატეგორიულად მიუღებელია! მე ვფიქრობ, ძალადობასთან ბრძოლის "მზა რეცეპტი"არ არსებობს, იგი არსებობდა 35 წლის წინაც, 100 წლის წინაც და უფრო ადრეც.... მაგრამ, გამოსავალი ყველა სიტუაციას აქვს და მათ შორის ამ პრობლემასაც... მშობლები მეტად უნდა ვიყოთ ჩართულნი შვილების ცხოვრებაში და ბავშვს მის შეუმჩნევლად ვადევნებდეთ თვალს, ვერკვეოდეთ დეტალებში, ხოლო ბავშვი უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, არასოდეს აედევნოს მას, ვისაც მასთან მეგობრობა არ სურს...სწორედაც მაღალი თვითშეფასება აძლევს მას იმ გამომეტყველებას, ჰაბიტუსს, რომელიც მას დაიცავს ნებისმიერი სახის მოძალადისგან, ზუსტად უნდა ესმოდეს, რომელი ტიპის მოძალადესთან აქვს საქმე და მასთან რომელი „იარაღია" საჭირო! მაგრამ, თავდაჯერებულობა და დაუმორჩილებლობა მოძალადე თანატოლების წინაშე ერთ-ერთი მთავარი იარაღია!

საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა არასოდეს არ არის გვიან!

ელზა ხარაშვილი

ვაშლოვანის ნაკრძალთან ბრაკონიერებმა ჯეირანი მოკლეს

(პირველი გვერდიდან)

ქმედებაა. ნადირობა საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილ ცხოველზე სასჯელს უფრო ამკაცრებს და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ჯეირანის მოკვლის ფაქტს შს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო იძიებს. პოლიციაში შეტყობინება 2 თებერვალს არის შესული. შსს—ში განმარტეს, რომ გამოძიებას ეჭვმიტანილი ჰყავს, მაგრამ საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო მას ჯერ ბრალი წარდგენილი არ აქვს.

ჯეირანი 33 კილოგრამს აღწევს. გავრცელებულია მცირე აზიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში. წარსულში საქართველოს ფარგლებში ქურციკი გვხვდებოდა მცირე რაოდენობით შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში, საკმაოდ ბევრი იყო გარდაბნისა და სამგორის ველებზე, სადაც უწესრიგო ნადირობის შედეგად გაწყდა. 1,5 წლისა უკვე ზრდასრულია. მაკეობა 5-5,5 თვეს გრძელდება. აპრილ-მაისში შობს ერთ ან ორ თიკანს. ძირითადად ბალახეულით იკვებება.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე „ქურციკების რეინტროდუქციის პროექტი" საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2009 წლიდან ხორციელდება.

მე კი ამ წერილს ამირან კოდიაშვილის იმ სიტყვებით დავასრულებ, რომელიც მან სოციალურ ქსელში გაავრცელა. ვფიქრობ, ამ მიმართვით მან ბევრი ადამიანის, ქართველის სათქმელი თქვა. „ჩემო მეგობრებო, მეტნაკლებად ყველასთვის ცნობილია რომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ ქურციკის აღდგენის პროგრამა ხორციელდება. მას უამრავი მხარდამჭერი ჰყავს და აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 27 იანვარს ერთი ქურციკი ბრაკონიერებმა მოკლეს, დღემდე თავს ვიკავებდი ამ ინფორმაციის გასაჯაროვებისგან, რათა გამოძიებისთვის ხელი არ შემეშალა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს პროცესი ჭიანურდება. გული მწყდება, რომ ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავისი ჟინის მოსაკლავად და ორი კილო ხორცისთვის მოკლან ქურციკი, რომლის აღსადგენადაც ამდენი რამ გაკეთდა, როგორც სამთავრობო სტრუქტურების, მხრიდან ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბოლოს უბრალო ადამიანების მხრიდან. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF კავკასიის ოფისის მხარდაჭერით ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა 28 ქურციკი საქართველოს აჩუქა, ჩვენი კი რას ვაკეთებთ?! ძალიან მრცხვენია, არ ვიცი რა უნდა ვუთხრათ მათ. არ ვიცი რა უნდა ვუთხრათ ჩვენს შვილებს?"

P.S. შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს რაიონულმა სამმართველომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ქურციკის მოკვლაში სავარაუდო ეჭვმიტანილს მიაგნო.

ის თელავში მცხოვრები მოქალაქეა. საგამოძიებო ორგანო მას ბრალს საკმარისი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ წაუყენებს.

„როდესაც შეგროვდება სათანადო მტკიცებულებები და გამოძიებას ექნება ყველანაირი სამხილი, სავარაუდო ეჭვმიტანილს დააკავებენ. ის თელავში მცხოვრები ჩვეულებრივი მოქალაქეა. გამოძიება მიმდინარეობს", - განაცხადა შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, შორენა ჯახუამ.

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

გაზაფხულის დღესასწაულებს მიუძღვნეს

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღისკენ დილიდანვე აჩქარებული ფეხით მიემართებიან მშობლები, ხელში ყველას ყვევილები და შვილების საკარნავალო ფორმები უკავია. ცხადი, ისინი საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების ზეიმზე მიიჩქარიან. მშობლისთვის შვილის

ყოველი ზეიმი, ხომ დღესასწაულია! არანაკლებ ღელავენ პედაგოგები და ბაღის ადმინისტრაციაც. პედაგოგები, დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილს და ბაღის ღვეწლმოსილი მეთოდისტი, ქალბატონი ნათელა თამაზაშვილი, ზეიმის ბოლო შტრიხებს აზუსტებენ. რთულია პედაგოგობა, მით უმეტეს პატარებში, სადაც არასოდეს პროგნოზირებ, თუ როგორი გამოგივა კონცერტი, რომელშიც თვეების შრომა გაქვს ჩადებული, როგორი იქნება ბავშვების გამოსვლა და რამდენად

გაამართლებენ ისინი პედაგოგის იმედებს.

პედაგოგმა მარინე ჯორკოშვილმა და თანაშემწემ ფიქრია ლეკაშვილმა თავის აღსაზრდელ 5-6 წლიან ბავშვებს სპექტაკლი „ჭიამაიების“ ზეიმი და „ბულბულის იუბილე“ გაათამაშებინეს. ღონისძიების წამყვანი მარიამ ნატროშვილი გახლდათ, ტყის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს საყვარელი მგოსნისთვის იუბილე მოეწყოთ და შემოჰყავთ ბულბული, ისინი ტყის შუაგულში, მდელოზე შეიკრიბნენ, ზოგი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც უბრალოდ ლექსს უძღვნიდა იუბილარს. იუბილარს დაბადების დღეს ულოცავენ ყვავილები. აქ გოგონები ბულბულს უმღერიან. ტყის მგოსანს უმღერიან მერცხლები, იუბილარს მიესალმნენ წუნა და წრუწუნა(ანანო ქადაგიძე და ბექა სუხიტაშვილი), ბულბულს უმღერის ყვავიც. ტყის მგოსნებს არ გამოჰკლებია არწივი, ფრინველთა მეფე, რომლის როლშიც ილია ტოკლიკიშვილი გახლდათ. მეფე-არწივი თავდაპირველად განრისხდა, იმის თაობაზე, თუ როგორ გაბედეს მის გარეშე ლხინი, თუმცა იქვე ბულბული იჩენს თავს და თავად ითხოვს მეფისგან დასჯას, რათა სხვები გადაარჩინოს. ამას იუბილარი ბულბულისგან ტკბილი სიმღერა მოჰყვება. ბოლოს კი, რადგან მეფე გადაარჩენს ბულბულს, ნებართვას ითხოვს დედის დღე და 8 მარტი მიულოცოს დედებს, ბებიებს, დებს და საყვარელ აღმზრდელებს.

„სიზმარშიაც, დავიძინებ,
დედის ალერსს ვხედავ,
არ შემცივა ცივი
წყლითაც,
რომ დამბანოს დედამ.“
-ამბობს პატარა ლიზი.

-„ახალს ლანდივით
შორდება ძველი,
ცხოვრების გზაზე ვის
არ შეცვლიან,
არ გაჩენილა დედის
შემცვლელი,-
სილამაზე და დედა
ერთია.“
-ამბობს ლექსს ანა ყაზარაშვილი.

მას საბა პირზადოვას, თორნიკე მაჩაბლიშვილის, მარიამ ყოჩიაშვილის, მარიამ მოდებაძის, ქეთი ყაჭაშვილის, ილია გიგოლაშვილის, ნიკოლოზ ღვედაშვილის, მარიამ ნატროშვილის, გიორგი ქადაგიძის ლექსები და სიმღერები მოჰყვა. ღონისძიებაზე შესრულდა ცეკვები ბაღდადური და ქართული. დასასრულს სიტყვა ბაღის დირექტორს მანანა ტოკლიკიშვილს გადაეცა , რომელმაც ღონისძიებას უმაღლესი შეფასება მისცა და მადლობა გადაუხადა პედაგოგ მარინა ჯორკოშვილს. აღნიშნულ ღონისძიებას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან ეკატერინე გორგაძე და ნინო კვიწინაშვილი ესწრებოდნენ. აქვე მოწვეული გახლდათ მამა ლევანი, რომელიც დამსწრე საზოგადოებიდან ყველაზე საპატიო სტუმარი გახლდათ.

* * *

იმავე დღეს პედაგოგმა ქეთი გიგოლაშვილმა ყვავილების და პეპლების ზეიმი მოუწყო 3-4 წლიან აღსაზრდელთა ჯგუფის ბავშვებს, სპექტაკლი პატარა ქოლგებით ხელმომარჯვებული თეთრკაბიანი გოგონების ცეკვით გაიხსნა, რომლებიც ბიჭებმა ხელკავით გამოაბრძანეს. —„მინდორში ვცხოვრობ მე უშრომ-უზრუნველადა, იქ ყვავილები გაშლილა ჩემს საზრდოდ საწუწნელადა, რაც დღე მაქვს ტკბილად ვატარებ, ჩემს ნებაზედაც დავფრენო, მაგრამ დღეგრძელი არა ვარ, გამიშვი ნუღარ მაცდენო!“-ამბობს პეპელა კესარია გოგაშვილი. გაზაფხულის მახარობლებმა მერცხლებმა იოანე სესიტაშვილმა და დავით ალადაშვილმა თქვეს ლექსები. ყვავილებმა კესარია გოგაშვილმა, ნინი თეთვაძემ, სალომე იაკობიშვილმა, ნატალია მადოიანმა, ანჟელიკა ოსიპოვმა, მარიამ ტალიაშვილმა, ნუცა

უძილაურმა, მარიამ ყაჭაშვილმა, ნინი ყაზარაშვილმა სალომე შეითნიშვილმა, ლიზი ჩოტაშვილმა შეასრულეს ყვავილების ცეკვა.

დედებს მიუძღვნეს სიმღერები გოგონებმა და ბიჭებმა, ხოლო ცეკვა „ქართული“ ექსპრომტად შესრულდა. ენძელამ და იამ თავი ამოყვეს და ნელ-ნელა ამოიშალნენ, მზემაც გამოანათა და პატარებმა ირგვლივ გაზაფხულის მათრობელა სურნელი დაატრიალეს, ისეთი, როგორიც ყველას, დიდსაც და პატარასაც ფრთებს გვასხავს, სიცოცხლის სურვილს გვიღვივებს, ხალისს გვმატებს და სასიამოვნო ემოციებს აღგვიძრავს. ღონისძიება დედებისთვის მილოცვით და მათთან ვალსის ცეკვით დასრულდა. მშობლებს დედის დღე და რვა მარტი მიულოცა პედაგოგმა ქეთი გიგოლაშვილმა. აღნიშნულ ღონისძიებას სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან ნინო კვიწინაშვილი და მაია ცოგოშვილი ესწრებოდნენ.

* * *

იმავე დღეებში ჩატარდა 4-5 წლიან ბავშვთა გაზაფხულის ზეიმი, რომელთა პედაგოგიც თამარ ალადაშვილი და შორენა ალუღიშვილი გახლავთ. მართალია, ჩვენ ამ ღონისძიებას, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ დავესწარით, მაგრამ სამაგიეროდ გთავაზობთ ღონისძიების ფოტოკოლაჟს.

ლალი მეხრიშვილი

ჩვენი მწვანე მომავალი

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზინტი“ და ორგანიზაცია „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, პროგრამის - „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“- ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან ერთად, ახორციელებს საპილოტე პროექტს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დეგრადირებული ეკოსისტემის აღდგენა მრავალმიზნობრივი სანერგე მეურნეობის მოწყობის და სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენებით“. პროექტის დონორები არიან აშშ განვითარების სააგენტო (USAID), ასევე, გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), რომელიც გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამის კომპონენტით შემოვიდა აღნიშნულ პროგრამაში.

პროექტი გასული წლის აგვისტოში დაიწყო და უკვე განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები: შესყიდულია საჭირო მასალები, დამონტაჟებულია საოფისე მობილური კონტეინერი, შეყვანილია შუქი, შემოღობილია სანერგის სათესი და სასკოლე ნაკვეთის ტერიტორია, ნიადაგი დამუშავებულია და დათესილია ნუში და კაკალი, ამჟამად მიმდინარეობს მარადმწვანე სახეობების (კიპაროსი, ტუია, ბიოტა) დათესვა. დაწყებულია ჭის ამოთხრა, რომლის მოწყობის შემდეგაც მოხდება სანერგის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემების (დაწვიმება,წვეთოვანი) მოწყობა. თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებულ სამუშაოებში ადგილობრივ თემთან ერთად აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის გამგეობის დასუფთავების სამსახური - შპს „სერვისი-2007“(დირექტორი დავით დუღაშვილი).

ამ დღეებში, საგაზაფხულო თესვის პროცესის დაწყებისას, სანერგეში მოეწყო პროექტის პირველი ეტაპის პრეზენტაცია, რომელიც შესავალი სიტყვით და პროექტის მიმოხილვით გახსნა პროექტის ხელმძღვანელმა, გამგეობის მთავარმა სპეციალისტმა საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილმა. მან ისაუბრა კლიმატის ცვლილების ფონზე პროექტის მნიშვნელობასა და სანერგე მეურნეობის საჭიროებაზე, ასევე, მის შესაბამისობაზე სამთავრობო პროგრამასთან „დარგე მომავალი“, რომელიც მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან შევიდა ძალაში. პროგრამა ითვალისწინებს მრავალწლიანი ბაღების გაშენების და სანერგე მეურნეობების შექმნის მხარდაჭერას თანადაფინანსების კომპონენტით.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან (უფროსი ეთერ ზურიკაშვილი) ერთად, დაიგეგმა პროგრამაში სკოლების ჩართვა. ამ მიზნით პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლები და უფროსკლასელები, რომლებსაც გადაეცათ თემატური ბროშურები, მცირე კონტეინერები და მარადმწვანე ხე-მცენარეების თესლები, რითაც ისინი მოაწყობენ მობილურ სანერგეებს სკოლებში. თავად დათესავენ კონტეინერებში და იზრუნებენ მცენარეების აღმოცენება-განვითარებაზე, შემდეგ ნერგებს სკოლის ეზოებში გადარგავენ და თავადვე მოუვლიან.

ამ პროექტის მნიშვნელობასა და მასში პედაგოგების, მოსწავლე-ახალგაზრდობის როლზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მან სამომავლოდ გამწვანების ერთობლივი აქციების ჩატარება დააანონსა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თანადგომა გამოხატა ამ საქმიანობის და პროექტის მიმართ.

- მიხარია, რომ დღეს აქ, ამ მნიშვნელოვან პრეზიტენციას ვესწრები. პირველ რიგში მადლობა პროექტის ხელმძღვანელს, გამგეობის მთავარ სპეციალისტს საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილს და ჩემს მოადგილეს სოლომონ ღორაშვილს, რომლებმაც იზრუნეს ამ პროექტის მოპოვებისა და მისი განხორციელებისათვის. ეს დიდი საქმეა. უჭირს დედამიწას, გვიჭირს ჩვენ–ადამიანებს. ახლა, ამ გლობალური კატაკლიზმების ეპოქაში, მწვანე ბალახიც კი მოსაფრთხილებელია. ბოლო 2 ათეული წლის მანძილზე გაჩეხილ ჩვენს ტყეებს და ქარსაფარს შევსება უნდა. ყველა ვამაყობთ იციის მთის ფერდობზე არსებული ხელოვნური წიწვოვანი ტყით, რომელიც ჩვენმა მამა-პაპამ დაგვიტოვა. ჩვენც უნდა ვიფიქროთ, რას დავუტოვებთ შვილებს და შვილიშვილებს. 32 ათასი მაცხოვრებელია ჩვენს მუნიციპალიტეტში. ყველა ადამიანის სახელზე თითო ხე რომ დავრგოთ, არავითარი გაუდაბნოება აღარ დაგვემუქრება! გასულ წელს 6 ათასი ნერგი დავრგეთ ელიის მთაზე, მაგრამ გაუსაძლის გვალვას ცოტა გადაურჩა. ალბათ, მეტი მზრუნველობა უნდა გამოგვეჩინა. სასიამოვნოა, როცა ხედავ, როგორ გაიხარა ნერგმა, გამოიტანა ფოთოლი, სიყვარულიც ხომ ზრუნვიდან მოდის. წელსაც აქტიურად ჩავერთვებით გამწვანების პროცესში. ამ სანერგეში გამოყვანილი ნერგებიც ჩვენს ტერიტორიას შეემატება. მიხარია, რომ დღეს აქ მოსწავლეებიც არიან. მათ საწყისშივე უნდა შევაყვაროთ ბუნება, ვასწავლოთ მასზე ზრუნვა და შევეცადოთ, გააცნობიერონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ მოქალაქობრივ მოვალობებში შედის. წარმატებას ვუსურვებ ამ პროექტს და თითოეულ თქვენგანს,-თქვა თავის გამოსვლაში ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საქართველოს პატრიაქის ინიციატივაზე და ხეების დარგვის აუცილებლობაზე ისაუბრა მეუფე დიმიტრიმ. მან გამოხატა თავისი აქტიური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და ყველა იქ მყოფს მოუწოდა ამ საქმიანობაში აქტიური ჩართვა.

- ჩვენი პატრიარქის ბრძნული მოწოდებები ბევრი კარგი საქმის საფუძველი და საწყისი გამხდარა. ასეთთა შორის ერთ-ერთი თითოეული ადამიანისგან თითო ხის დარგვის მოწოდებაც შედის. მის ინიციატივას, მთელ ქვეყანაში დიდი რეზონანსი აქვს. მე პაპა მყავდა მეტყევე და მეამაყება, რომ მისი გაშენებული და მოვლილი მრავალი ტყე არსებობს. ზესტაფონში მოღვაწეობისასაც აქტიურად მონაწილეობდა გამწვანების საქმეში როგორც სამღვდელოება, ისე მრევლი. ამ ტრადიციას დედოფლისწყაროშიც დავნერგავთ. ასეთ საშვილიშვილო საქმეში ერი და ბერი ერთად უნდა იდგეს, წარმატებაც ასე მიიღწევა. დავლოცავ ამ კეთილშობილურ საქმეს და წარმატებას ვუსურვებ მის ორგანიზატორებს.

ახლა სააღდგომო მარხვაა. 12 აპრილს აღინიშნება ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსაც წინ უძღვის ბზობა. ესეც პატრიაქის მოწოდებიდან გამომდინარეობს, რომ არ გავანადგუროთ ბზის ბუჩქები, საჭიროა, ბზის პატარა ტოტი ჩავრგოთ ქოთანში, გავახაროთ და ცოცხლად გვქონდეს სახლში ბზა მთელი წლის განმავლობაში, ის არც გაყვითლდება, არც გახმება და ეს ძვირფასი ხის ბუჩქებიც არ გამეჩხერდება და არ განადგურდება. სასურველია, რომ ამაზე თითოეულმა მოქალაქემ დღეიდანვე იზრუნოს-ბრძანა მეუფე დიმიტრიმ.

პრეზენტაციას სამების ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძეც ესწრებოდა.

მიმდინარე სამუშაოებში გამგეობის და სხვა ორგანიზაციების ჩართულობაზე ისაუბრა გამგებლის პირველმა მოადგილემ სოლომონ ღორაშვილმა.

- ამ პროექტის განხორციელებაში თავიდანვე ვარ ჩართული. პროექტი უკან იყო დაბრუნებული და მე და ქალბატონ ანა ბენაშვილს დიდი ძალიხმევა დაგვჭირდა, რომ უკან დაგვებრუნებინა. მე ჩართული ვიყავი მთლიან პროცესში და კვლავაც აქტიურად მივიღებ მონაწილეობას მის განვითარებში, რადგან მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმეა. დღეს გამწვანების და მრავალწლიანი ხე-მცენარეების გაშენების პროგრამა ჩვენი სიცოცხლის გადარჩენის და გახანგძლივების ერთ-ერთი პირობაა. მასზე ზრუნვა კი თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. გასულ წელს 5 ათასი ნერგი ჩამოვიტანეთ, ჩვენც დავრგეთ, ორგანიზაციებმაც, სკოლებსაც დავურიგეთ, მაგრამ მარტო დარგვა არ არის, მთავარია, შემდგომში სათანადოდ მოვუაროთ და გავახაროთ. ჩვენ ამის ორგანიზება სათანადო დონეზე ვერ შევძელით და შედეგი არცთუ მთლად სახარბიელოა. ადამიანები შეცდომებზე ვსწავლობთ და ჩვენც ვეცდებით, საზოგადოების და თითოეული მოქალაქის მხარდაჭერით, შევძლოთ მეტმა ნერგმა გაიხაროს ჩვენს ტერიტორიაზე,– თქვა ბატონმა სოლომონმა.

- ღონისძიებაზე გამომსვლელთა პათოსმა ჩემი ბავშვობა გამახსენა. ექვსი ათეული წლის წინ ჩემს მშობლიურ სოფელ გამარჯვებაში, სოფლის დასაწყისიდან დასასრულამდე, ხის ნერგები რომ ჩაყარეს, 7-8 წლის ბავშვებს კვირაში ორჯერ, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ამ ნარგავების მორწყვაზე, უფროსკლასელებთან ერთად, ჩვენც გვასაქმებდნენ. ცხენის ურიკა, რომელზეც „უზარმაზარი“ (მაშინ ასე მეჩვენებოდა) წყლის კასრი იყო დამაგრებული, ნელ-ნელა მოძრაობდა, ჩვენ კი ჟივილ-ხივილით, ვინ უფრო ყოჩაღი იქნებოდა, ვინ ვის დაასწრებდა პატარა კოკურებს ვავსებდით და ნერგებს წყალს ვუსხამდით, გაზაფხულ-შემოდგომაზე კი კირით ძირებს ვუთეთრებდით. ათეული წლებია, ეს კაკლის ხეივანი სოფლის საფირმო ნიშანია. დღეს იქ ზოგიერთი ხე უკვე გამხმარია და განახლებას. საჭიროებს. იმედია, ამ სანერგეში გმოყვანილი კაკლის ნერგები შეავსებენ და განაახლებენ ამ ხეივანს. ამის გარდა, ერთი ინიციატივაც მაქვს: ორმოცდაოთხი წელია, რედაქციაში ვმუშაობ და ყველა მთავრობის დროს იდგა საკითხი კირქვების საფლუსე მაღაროთა კარიერის აფეთქებების, ქვისსამტვრევი საამქროების და კირის გამოსაწვავი საამქროს კვამლის, გამონაბოლქვის თუ მტვრისგან შეწუხებული მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაცვის თაობაზე. ხან ტექნოლოგიური ცვლილებები შეიტანეს, ხან – ტექნიკური, კომპესაციებიც დაარიგეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მიმაჩნია, რომ აქ ერთადერთი გამოსავალი მოსახლეობისა და ქარხნის ტერიტორიას შორის არსებულ ფართობზე სწორედ რომ წიწვოვანი და ფოთლოვანი ზოლები რიგრიგობით უნდა გაშენდეს, რათა მტვერითაც დაცული იყოს მოსახლეობა და ჟანგბადითაც გამდიდრდეს იქაურობა,–ვთქვი მე ჩემს გამოსვლაში. იდეა ყველას მოეწონა და მხარი დაუჭირა. საკითხს გამოეხმაურა ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელმაც განაცხადა: - იდეა პერსპექტიულია, ძალიან მომეწონა, მართალია, ეს ტყე ორ წელიწადში შრიალს ვერ დაიწყებს, პროექტი ხანგრძლივი მოქმედების იქნება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი თვით მოსახლეობის ჩართულობაც იქნება, როემლმაც დაუზარებლად უნდა იშრომოს ნერგების გასახარებლად. ეს ხომ ყველა ჩვენთაგანის და, უპირველესად.მათი შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობის დასაცავად გაკეთება.

პრეზენტაციაზე მიღებული რეკომენდაციებით, დარიგებული კონტეინერებით, ტუიის და კვიპაროსის თესლით სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლები კმაყოფილნი დარჩნენ. მისასალმებელია, რომ ღონისძიებას ქალაქისა და თითქმის ყველა სოფლის ბიოლოგიის მასწავლებლები და უფროსკლასელები ესწრებოდნენ.

პრეზენტაცია ალა-ფურშეტით და დიდი ტორტის გაჭრით დასრულდა, რომელსაც სიმბოლური წარწერა „ჩვენი მწვანე მომავალი“ ამშვენებდა და მწვანე ფერებში იყო გადაწყვეტილი.

ნაირა გორაშვილი

მსოფლიო ჩემპიონი დედოფლისწყაროდან

ყარაგვეზაშვილების გვარი არც ისე დიდია, თუმცა მაინც ყველას სმენია. ის აუცილებლად სპორტთან, გამარჯვებებთან და კიკბოქსინგთან ასოცირდება. ეს კი დედოფლისწყაროში მცხოვრები ერთი ოჯახის დამსახურებაა.

24 წლის არსენ ყარაგვეზაშვილი რამდენიმე თვის წინ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მწვრთნელის ოჯახში იზრდებოდა და იგრძნობოდა თუ არა ვარჯიშისას მამა-შვილური დამოკიდებულება.

როგორია წარმატებებისკენ მიმავალი გზა, ამას ᲐᲠᲡᲔᲜ ᲧᲐᲠᲐᲒᲕᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ინტერვიუდან შეიტყობთ.

* * *

– რა პერიოდიდან გაქვს სპორტის მიმართ ინტერესი, რითი მიგიზიდა ამ გზამ?

– ბავშვობიდან ცეკვაზე დავდიოდი, ხანდახან მამას დავყვებოდი ვარჯიშებზე. დიდი სპოტსმენების მიერ შესრულებული ვარჯიშების ყურება ძალიან მომწონდა, რაც თანდათან ინტერესს იწვევდა ჩემში. 6 წლის ასაკში შევედი ქართულ ცეკვებზე, რომელსაც ლევან ხუნაშვილი ხელმძღვანელობდა, იქ რამოდენიმე წელი ვიარე. 11 წლის ასაკიდან შევწყვიტე ცეკვა და გადავწყვიტე ვარჯიში დამეწყო ჩვენს კლუბში... მოგეხსენებად კლუბ „ჩემპიონში“ მრავალი ტიტულოვანი სპორტსმენი ვარჯიშობდა, რაც დრო გადიოდა მით უფრო ვინტერესდებოდი.

კიკბოქსინგი ორთაბრძოლების ერთერთი ლამაზი, ტექნიკურად დახვეწილი და ვაჟკაცური სახეობაა. როდესაც დავიწყე ვარჯიში და აქტიურად ჩავერთე სპორტულ ცხოვრებაში, უფრო და უფრო მიმიზიდა. ასევე დიდი გავლენა მოახდინა მამაჩემის გვერდში დგომამ და შემართებამ. მას ძალიან უნდოდა გავმხდარიყავი სახელოვანი მებრძოლი. მისმა ბევრმა დარიგებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სერიოზულად მომეკიდა ხელი. არ უნდა მეზარმაცა, რადგან ბევრ შრომას ყოველთვის მოყვება შედეგი.

– საინტერესოა, ვარჯიშის დროს თქვენს შორის მამა-შვილობა იგრძნობოდა?

– კლუბი „ჩემპიონი“ არის ერთი დიდი ოჯახი,ერთმანეთისთვის როგორც ძმები ისე ვართ. მწვრთნელიც ყველას საკუთარი შვილივით ზრდის. ვერავინ იტყვის, რომ მამას როდისმე რომელიმე სპორტსმენზე წინ მე დავეყენებინე.

– რომ არ იყოს მამაშენი ამ სპორტში და სხვა სფეროში საქმიანობდეს, ამ შემთხვევაში როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება?

– ჩემთვის წარმოუდგენელია კიკბოქსინგი მამაჩემის გარეშე. ბავშობიდანვე მახსოვს, რომ ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ მამაჩემის სპორტსმენები, იმართებოდა საუბრები. მამაჩემი მათ რჩევა-დარიგებას აძლევდა, უყურებდნენ ორთაბრძოლებს, ერთად განიხილავდნენ. ეს იყო დიდი ოჯახი, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა. მეც ასე ვიზრდებოდი, შესაძლოა ტექნიკურად არ ვიცოდი, მაგრამ თითქოს სისხლში მქონდა გამჯდარი რინგზე ბრძოლა, რაც ცხადია, მამაჩემის დიდი გამოცდილების და ბევრი საუბრის შედეგი იყო.. ამ ყველაფერს მე ადრეული ასაკიდან ვითვისებდი, მახსოვს როგორი რთული პერიოდები ჰქონდა ჩვენს კლუბს. შეიძლება ყველაფერზე ვერ ვისაუბრო, მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ როგორი გაჭირვება და რთული პერიოდი იყო. ერთი სიტყვით მამაჩემმა ეს პერიოდი დაძლია, გაიარა უამრავი სირთულე, გაჭირვება, მან ძალიან ბევრი შრომა ჩადო საქართველოში კიკბოქსინგის განვითარებისთვის. რაც მისი დიდი ნებისყოფის, ბრძოლის და შრომის დამსახურებაა, ამიტომაც გულწრფელად ვამბობ, მამაჩემი სხვა სფეროში ვერ წარმომიდგენია,ისევე როგორც ჩემი კარიერის გაგრძელება რომელიმე სხვა სფეროში. იგი ამ ყველაფრისთვისაა დაბადებული.

– სამსახურიდან რომ არ გქონდეს ხელშეწყობა, თუ რეჟიმი მოითხოვს ისე, რომ ორივეს ერთად ვერ ათავსებ, არჩევანს როგორ გააკეთებდი?

– რთული შეკითხვაა. ერთი ვიცი რომ, რაც არუნდა მოხდეს, ჩვენს სპორტს ყოველთვის გავყვები და მამაჩემს ამდენ შრომას წყალში არ ჩავუყრი, რადაც არ უნდა დამიჯდეს. არ მგონია, ასეთი არჩევნის წინაშე დავდგე, რადგან სამსახურს და ვარჯიშს კარგად ვუწყობ ერთმანეთს. ყველანაირი პირობა მაქვს შექმნილი, რომ აქტიურად ვიყო ჩართული, სამსახური და ვარჯიში ერთმანეთს შევუთავსო.

– როგორია პოპულარობა, რთული, თუ სასიამოვნო?

– ვფიქრობ, რომ როდესაც ხარ წარმატებული სპორტსმენი და გიცნობს უამრავი ადამიანი, ეს ყველაფერი სასიამოვნოა, მაგრამ, ამავდროულად რთულიც, იმიტომ რომ, მეტი პასუხისმგებლობა გაქვს შეინარჩუნო შენი ტიტული და სახელი.

– არასახარბილეო გარემო, ქუჩა, როცა მავნე ჩვევები მძლავრობს. გარდატეხის ასაკში რამდენად რთულია ცდუნებას გაუძლო და ჯანსაღი ცხოვრების წესს გაჰყვე?

– გეთანხმებით იყო ასეთი პერიოდები, ეს ეტაპი ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანმა უნდა გაიროს, რადგან შეეძლოს კარგისა და ცუდის გარჩევა. ბავშვობიდან მამაჩემი ჩემს მიმართ მკაცრი არცროდის ყოფილა, ალბად იმიტომ, რომ მენდობოდა და იცოდა, რას გავაკეთებდი. როგორც ყველა მოზარდს, მეც მქონდა ისეთი პერიოდი, როდესაც ქუჩამ გამიტაცა და მყავდა ძალიან დიდი საძმაკაცო. არ ვნანობ ამ ყველაფერს, იმიტომ, რომ დიდი გამოცდილება მივიღე ამ ყველაფრისგან.



გამოტანა

– ალბათ, სიგარეტი მოგიწევია!

– კი, როგორ არა... არ დაგიმალავთ, ეს შეცდომა დამიშვია. მაგრამ ვფიქრობ, ადამიანმა ყველა ეტაპი უნდა გაიაროს და როგორც საკუთარ, ასევე სხვის შეცდომებზე ისწავლოს სწორი ცხოვრება, რომ გაუჩნდეს სწრაფვა კარგი მომავლისკენ... ყველას თვისი ცხოვრება და თავისებური მიდგომა აქვს ამა თუ იმ საკითხის მიმართ. მე არ მიმაჩნია სპორტსმენად ის ადამიანი, რომელიც ხშირად გადაჭარბებით ეტანება ალკოჰოლს და თამბაქოს ეწევა. პირადად მე მეგობრულ წრეში მიყვარს დროის ტარება, მაგრამ ყველაფერი ზომიერად. მოვუწოდებ ყველას, რომ დაგმონ მავნე ჩვევა. ჩაებან აქტიურად სპორტში და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით...

– თუ ყოფილა რინგზე ისეთი მომენტი, როცა გიფიქრია, რომ მეტოქე ძალიან ძლიერია და შანსები აღარ არის... იმედგაცრუების მომენტი რინგზე...

– რა თქმა უნდა, ასეთი მომენტი შეიძლება სპორტსმენს ხშირად დაუდგეს, როდესაც ის ვარდება ნოკდაუნში ან ძლიერ დარტყმას იღებს, ბრძოლის გასაგრძელებლად აღარ ყოფნის ენერგია. აქ უკვე დამოკიდებულია მის ნებისყოფაზე და მის შემართებაზე. აღვნიშნავ, რომ ამ ყველაფერში დიდი როლს თამაშობს მწვრთნელი და მისი გამოცდილება. მქონია ასეთი მომენტი და მწვრთნელის დახმარებით გამიგრძელებია ორთაბრძოლა და გამარჯვებითაც დამისრულებია კიდეც. ასეთი უამრავი მომენტი მახსენდება, როდესაც რომელიმე სპორტსმენს არ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება და მამაჩემის რჩევა-დარიგებით, ან მკაცრი საუბარის შემდეგ ენერგიულად გაუგრძელებია და მოწინააღმდეგე ნოკაუტითაც კი დაუმარცხებია...

– რა არის შენი მიზანი, მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ, რა მწვრვალის დაპყრობას გეგმავ?

– უბრალოდ მეამაყება, რომ ჩემი ქვეყნის სახელი მსოფლიოს დიდ ასპარეზზე გავიტანე. ასევე მეამაყება ქართველი გულშემატკივარი. ჩემი მიზანია გავხდე კიდევ უფრო წარმატებული სპორტსმენი... დავუდგე მამაჩემს გვერდში და ერთად გავაგრძელოთ ეს დიდი საქმე... რაც მთავარია, მინდა მრავალჯერ ვასახელო ჩემი სამშობლო...



– თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

– სიმართლე გითხარათ ტელევიზორის ყურება არ მიყვარს. ბოლო დროს ძირითადად როგორც ყველა, მეც ინტერნეტ სივრცეში გადავეშვი. მიყვარს სათავგადასავლო ფილმები, მუსიკა ჩემი დამამშვიდებელია. ახლა ტელევიზორში ძირითადად პოლიტიკური გადაცემები გადის. მე კი ვერ ვიტანს პოლიტიკას და საერთოდ არ ვერევი. თუმცა, საინფორმაციო გამოშვებებს კი ვუსმენ, მაგრამ უკვე ეს ყველაფერი ჩემზე ცუდად მოქმედებს... ზოგჯერ ვუყურებ შოუებსაც, რომლებიც ისევ პოლიტიკაზე არიან მიჯაჭვულნი.

– „პროფილური“ კითხვა გამომდის, მაგრამ, მეუღლის შესახებ მინდა გვიამბო...

– ჩემი მეუღლე, ნათია თამარაშვილი 9 წლის უკან გავიცანი... 6 წელი ვიყავით შეყვარებულები, შემდეგ დავქორწინდით. ძალიან დიდი ისტორიაა. სრულიად შემთხვევით გავიცანი ჩემს დარბაზთან, სადაც ამჟამადაც ვვარჯიშობთ, ნათია იქვე ახლოს ცხოვრობდა, მეგობრებთან ერთად სეირნობდა, როცა შევნიშნე მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. ყველა ღონე ვიხმარე, რომ მისი ტელეფონის ნომერი გამეგო და საუბარი დამეწყო. 14 წლის ასაკში სიყვარული ავუხსენი, ეს იყო ჩემს დაბადების დღეზე და ახალაც გუშინდელივით მახსოვს ის დღეები. საუკეთესო პერიოდი იყო. ასე რომ, თითქმის ბავშვობიდან ერთად ვიზრდებით. ამჯერად კი ერთი ქალიშვილი ანასტასია გვყავს და მას ვზრდით ერთად.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სანდა

7-8 მარტს „კუნგ-ფუს” ეროვნულმა ფედერაციამ თბილისში ჩაატარა ტრადიციული ევრაზიის პირადი გუნდური თასის გათამაშება. შეჯიბრში მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი. შეჯიბრი ჩატარდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. როგორც ყოველთვის ზემო მაჩხაანის სპორტკლუბი „ზაქები” ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ. გუნდის ერთ-ერთმა ჩვენთვის კარგად ცნობილმა გიორგი ნატროშვილმა, ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დანარჩენმა სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს. მათ ორი პირველი და ერთი მეორე ადგილი მოიპოვეს. პირველი ადგილი დაიკავეს გიგა ნატროშვილმა და გიორგი ტოკლიკიშვილმა, რომლებიც თასით, მედლით და დიპლომით დაჯილდოებულები დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში. მეორე ადგილი დაიკავა აკაკი ნატროშვილმა. აკაკიმ ორი ბრძოლა საუკეთესოდ ჩაატარა, მათ შორის ერთი ნოკაუტით მოიგო, ხოლო ფინალში მცირე ანგარიშით ორი ქულის სხვაობით დამარცხდა მოწინააღმდეგესთან და მეორე ადგილს დასჯერდა. აკაკი ვერცხლის მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. აღნიშნულ ასპარეზობას ჩვენი რაიონიდან ხელმძღვანელობდა თავად „ზაქების” გუნდის მწვრთნელი, „კუნგფუს” გენერალური მდივანი და მთავარი მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.

ᲚᲐᲚᲘ ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„დანერგე მომავალი“ დაიწყო

სახელმწიფოს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროექტი - „დანერგე მომავალი“ - იწყება. პროექტი სახელმწიფო თანადაფინანსების პრინციპით დაეხმარება მეწარმეებს ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობის შექმნის ხარჯების დაფარვაში. პრემიერის განცხადებით, აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების მაქსიმალურად ათვისებისა და მიზნობრივად გამოყენებისთვის.

პროექტი ორ კომპონენტს მოიცავს: პირველი - ეს არის მრავალწლიანი კულტურების - ბაღების - გაშენება, ხოლო მეორე - სანერგე მეურნეობების მოწყობა. პროექტის ფარგლებში მრავალწლიანი კულტურების ნერგების შეძენა დაშვებულია მხოლოდ კვალიფიციური სანერგე მეურნეობებისგან.

ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტს **იაგო ყოჩიაშვილს** ვესაუბრებით:

- კონკრეტულად რას ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამა და რა სარგებელს მოუტანს ის დედოფლისწყაროს?

- დედოფლისწყაროსთვის ამ კომპონენტების ფარგლებში იგეგმება ახალი ბაღების და პლანტაციების გაშენება, ნიადაგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უკვე შერჩეულია იმ კულტურათა სახეობები, რომელთა ბაღების გაშენებაც დაფინანსდება: კურკოვნებიდან-ატამი, ქლიავი, ბალი; სუბტროპიკული ხილიდან-ხურმა და ბროწეული, კაკლოვნებიდან-კაკალი და ნუში. მათი შერჩევის პრინციპი იყო კლიმატური პირობები, ნიადაგი და ტრადიციები.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას ნერგების შესაძენად.

დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 70%, მაგრამ 1 ჰექტარზე არაუმეტეს 10 000 ლარისა(სხვადასხვა ნერგებზე 2 მილიონ ლარამდე). ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის 50% (დღგ-ის ჩათვლით), მაგრამ 1 ჰექტარზე არა უმეტეს 2 500 ლარისა.

-მაქსიმალური თანხა ან ფართობი თუ არის გათვალისწინებული ორივე კომპონენტის დაფინანსების შემთხვევაში?

-ამ პროგრამით დასაფინანსებელი ბენეფიციარებისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მიწის ფართობის მინიმალური ოდენობა შეადგენდეს 5 ჰექტარს, ხოლო მაქსიმალური-20 ჰექტარს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბაღების კომპონენტის დაფინანსების მაქსიმალური თანხა არ აღემატება 100 ათას ლარს, ხოლო სანერგე მეურნეობებისთვის-150 ათას ლარს.

კოოპერატივების შექმნის შემთხვევაში, პროგრამა ითვალისწინებს შეღავათებს, მათ შორისაა საწამლი აპარატების უსასყიდლოდ გადაცემა.

-ვის შეუძლია გახდეს პროგრამის -„დანერგე მომავალი“-ს მონაწილე?

- პროგრამის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდმეწარმე, ასევე, საქართველოში დაფუძნებული საწარმო, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

-აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მიწას კერძო საკუთრებაში ფლობდეს?

- არა, არ არის აუცილებელი, რომ მიწას კერძო საკუთრებაში ფლობდეს, მას შეუძლია ჰქონდეს გრძელვადიანი იჯარაც, მაგრამ პოტენციურ ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება შემოსავლების სამსახურის მიმართ.

პროგრამა ითვალისწინებს, რომ ნერგების შესყიდვა უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის მიერ შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან ან ნერგის იმპორტის გზით. ასევე, წვეთოვანი საირიგაციო სისტემის შეძენა-მონტაჟი უნდა განხორციელდეს კვალიფიციური კომპანიებისგან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და კარგი რეპუტაცია ამ ბაზარზე.

- საინტერესოა, როგორ განახორციელებენ პროგრამის ორგანიზატორები ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგს, ყველას კარგად ახსოვს, გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების მიერ განხორციელებული ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტი, რომელიც გრანდიოზული იყო იდეურად, მაგრამ ამ პროექტმა თავისი შედეგით კრახი განიცადა. ასეთივე ბედი ხომ არ ეწევა ამ პროექტსაც?

-მინდა დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ ეს გამორიცხულია. საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს განახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო. ეს ყველაფერი რეგულირდება სამინისტროსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

- და ბოლოს, რაიმე განსაკუთრებული პირობა ხომ არაა ჩადებული ამ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის ?

-მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერმანენტული წყლის წყაროდან ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან 500 მეტრით (ტბა, მდინარე, მდინარის არხი, ჭა ან ჭაბურღილი).

დაახლოებით იგივე პირობებია სანერგე მეურნეობების შესაქმნელად.

აღნიშნული პროექტის განახორციელებლად ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენს რაიონშიც საკმაოდ დიდი პოტენციალია. იმედია, მოსახლეობა ამ პროექტს გულისყურით მოეკიდება და გაითვალისწინებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ხილზე, როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ბაზარზე. ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ საქართველოს შეეძლება, მცირე, მაგრამ თავისი ღირსეული ნიშა დაიკავოს მსოფლიო ბაზარზეამბობს იაგო ყოჩიაშვილი.

* * *

მსოფლიო მასშტაბით ნერგების შესყიდვაზე სახელმწიფო სუბსიდირების მაგალითები მრავლად არის. მაგალითად, მაკედონიაში სერტიფიცირებულ უვირუსო ნერგების ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისათვის, მთავრობის ინიციატივით, მწარმოებლები, რომლებსაც მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული აქვთ, თითოეულ ძირ ნერგზე სუბსიდიას იღებენ. შედეგად, ამ ქვეყანაში შემცირდა ნერგების იმპორტი. სერბეთში, მრავალწლიანი ნარგავების ხელშეწყობის მიზნით, ხდებოდა ხეხილის ბაღების გაშენების სტიმულირება და ნერგების ხარჯის ანაზღაურება იმ პირობით, რომ ხეხილის ბაღის ფართობი დადგენილ ზღვარს აკმაყოფილებდა. ხორვატიაში სახელმწიფო მანდარინის მწარმოებლებს ეხმარება კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებაში, რაც გამოიხატება არა მხოლოდ აღჭურვილობის და მანქანა-დანადგარების გადაცემაში, არამედ ხეხილის ბაღების გაშენებასა და ნერგების თანადაფინანსებაში. აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში მევენახეებს ევროკავშირში გაწევრიანებისწინა დახმარების მიღება შეუძლიათ. ეს დახმარება მოიცავს ასევე ტრადიციული ჯიშების ხარისხიანი და უვირუსო ნერგებით ჩანაცვლებასაც.

ინგა შიოლაშვილი

P.S. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციისათვის მიაკითხეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს.

გამოსათხოვარი

ზოია ფიროსმანაშვილი

ძალიან გვიმძიმს თქვენზე წარსულში საუბარი. გვგონია, რომ ისევ ენერგიულად შემოაღებთ სამასწავლებლოს კარს და ჩვეული გულმოდგინებითა და შრომისმოყვარეობით დაიწყებთ კიდევ ერთ სამუშაო დღეს. სკოლის შენობაც და ეზოც რაღაცნაირად ცარიელია უთქვენოდ. თქვენს ნაფერებ და ნალოლიავებ კაბინეტის კარს მდუმარედ ვუვლით გვერდს, ყველა კედლიდან, ყველა ნივთიდან თქვენი კეთილი და მრავლისმეტყველი თვალები იმზირება. როგორი ჯიუტი და წრფელი სიყვარულით გიყვარდათ სკოლა, ბავშვები, თქვენი საქმე. გაუგონარი ერთგულებით ასრულებდით მასწავლებლის რთულ და საპატიო მისიას, თაობები აღზარდეთ და დააფრთიანეთ, წლების განმავლობაში დედაბოძად ედექით მშობლიურ სკოლას და ფუტკარივით დაჰფარფატებდით მის ავ-კარგს.

თანამშრომლებისთვის საუკეთესო უფროსი მეგობარი და მრჩეველი იყავით, ბავშვებისთვის-უსაყვარლესი პედაგოგი, მოსწავლეთა მშობლებისთვის-ადამიანის ეტალონი, ხოლო მირზაანელებისთვის-სიმართლის, პატიოსნებისა და თავმდაბლობის ბურჯი, საკუთარ პროფესიას შეწირული, უბრალოდ,ზოია მასწავლებელი.

გაზაფხული გამორჩეულად გიყვარდათ, ცისმარე დღე ბაღ- ბოსტანში ფუსფუსებდით, ყვავილებს ეფერებოდით. გახარებდათ ყვავილნარის მზერა. აკი გინატრიათ, აპრილამდე ვიცოცხლო ნეტავ, ჩემი ტიტების გამოღვიძებას მოვესწროო. არსთა გამრიგე სხვაგვარად სჯიდა, გაზაფხულის დადგომისთანავე მიიბარა უფალმა თქვენი ძლიერი სული და გაუსაძლისი ტკივილებისგან ნატანჯი თქვენი სხეული 3 მარტს მივაბარეთ თქვენთვის ასე საყვარელ მირზაანის მიწას.

ახლა უთქვენოდ აყვავილდება თქვენი კოპწია ეზო, ზოია მასწავლებელო, თქვენს მირზაანში ათასგზის გაიავარდებს და მოირთვება გაზაფხული, თქვენი სკოლის ზარიც ისევ იწკრიალებს, ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა ჩვეულ კალაპოტში ჩაგვაყენებს, ცხოვრება გაგრძელდება, მხოლოდ თქვენ დააკლდებით ყველას. სამეზობლოს აღარ ეყოლება ერთგული მეზობელი და ხელის გამმართავი, სკოლას–ნიჭიერი პედაგოგი და უერთგულესი ქომაგი, სოფელს–თავისი სინდისი, ნამუსი და პატიოსნება ზოია მასწავლებელი.

თვალს ვავლებთ თქვენს ცხოვრებას და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით გოდერძი ჩოხელის სიტყვების სიბრძნეში, რომ „სოცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა. სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა.“

თანამშრომლები

ოზაანის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

რუსუდან ბერიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა გონაშვილს მამის

ვახტანგ გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს ბიძების

შალვა დავითაშვილის და გივი (ჯემალი) ბეჟაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ნავთობსარეწაო მირზაანის N2 ბრიგადის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ბრიგადის თანამშრომელს ნოდარ არაბულს ძმის

ომარ არაბულის

გარდაცვალების გამო.

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მესამე საბავშვო ბაღში

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ფორმირებაში დიდ როლს ბავშვობის წლები განსაზღვრავს. რამდენად ლაღი, სიხარულით და პოზიტიური განწყობით სავსეა ბავშვობის ექვსი წელიწადი.

6 მარტს დედოფლისწყაროს N3 საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი მაია ფოცხვერაშვილი) 5-6 წლიანთა ღონისძიება ჩატარდა, რომელიც დედის დღეს მიეძღვნა. ლამაზად მორთულ დარბაზში, ლამაზ კაბებში გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები მხიარულად გამოიყურებოდნენ. სწორედ ამ ულამაზეს დროს გაზაფხულზე დაუწესებიათ ქალთა ლამაზი დღესასწაული, ასე იწყებდა ონისე ნაროზაული.

დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო: ასე გამიგია უფროსებისგან. აგრძელებს ირაკლი მაზანაშვილი. დედის დღისადმი მიძღვნილმა თბილმა სიტყვებმა, ხალხურმა ცეკვა-სიმღერებმა მაყურებელი აღაფრთოვანა. ანა რიჟამაძე, თაკო მაისურაძე, ქეთა ბენაშვილი, თამარ უძილაური, ელისაბედ გიგაური, არჩილ წიკლაური, ნიკოლოზ ხუდადოვი, ნიკოლოზ წყარუაშვილი, დათუნა არაბული, ლუკა სეფიაშვილი, საბა ბოჭორიშვილი, მარიამ გიგოლაშვილი, გიორგი ჭიღიტაშვილი, გიორგი ზურაშვილი, ქეთა ზურაშვილი, ნიკა მჭედლიშვილი, გიორგი არაბული, საბა დოლენჯაშვილი, თაკო ხარაშვილი, დათუნა გურამიშვილი. თავს არ ზოგავდნენ, ესიამოვნებინათ დედებისთვის და ბებიებისთვის. ჩვენი პატარების მეხსიერებას კიდევ ერთი ულამაზესი დღე აღებეჭდა. როგორც ყოველთვის ღონისძიების დასასრული გულისამაჩუყებელი იყო, პატარებმა დედებს კიდევ ერთხელ მიულოცეს დედის დღე, გაზაფხულის მობრძანება და მათთან ერთად ვალსი შეასრულეს. ჯგუფის აღმზრდელის ქეთი ჯალიაშვილის, აღმზრდელის თანაშემწის მარიტა ბექიშვილის, ძიძის მარი ჯანყარაშვილის და მუსიკის მასწავლებლის ხათუნა ჯანაშვილის სრული მონდომებით და განსაკუთრებული მიდგომით, ლამაზი დღე აჩუქეს ჩვენს პატარებს.

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი
ისე არ ამოწუდებიან
ჯავრი შესჯამონ მტრისანი.“

ამ ლამაზი ლექსით დაასრულა ღონისძიება მარიამ ქადაგიშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები.

„სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“...



ამ დევიზით ჩაატარა ნათია პაპუაშვილმა თავისი სოლო-კონცერტი სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში.

ნათია ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. ის წარჩინებულია არა მხოლოდ სწავლაში, არამედ აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაშიც. გამორჩეულია მუსიკალური ნიჭით. ხშირად ატკბობს მსმენელს მისი ხავერდოვანი ხმა. ნათიამ ეს კონცერტი გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულს მიუძღვნა. დარბაზში, სადაც მისი ნკრიალა ხმა საამო ჰანგებად იღვრებოდა, იყვნენ მისი დედა-ქალბატონი ნანა, სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები.

ნათია 2008 წელს შევიდა ლადო ათანელის სახელობის სამუსიკო სკოლაში, სადაც სამი წელი ისწავლა. შემდეგ სწავლა გააგრძელა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში, რომელიც 2014 წელს დაამთავრა წარმატებით. ის მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა სხვადასხვა საგნებს: ფორტეპიანოს, გუნდს, მუსიკის ლიტერატურას, სოლფეჯიოს.

ნათიას ყოველი სიმღერის დასასრულს ტაშის გრიალი ფარავდა. იყო დიდი ოვაციები და სიყვარულით ანთებული თვალები. ახალბედა მომღერალს მთელი კონცერტის განმავლობაში ამხნევებდნენ მისი მეგობრები, ხოლო პროდიუსერობას კი მისივე თანაკლასელი-ანა ჩითინაშვილი უწევდა. კონცერტის დასასრულს სკოლის დირექტორმა-ქალბატონმა ნანული ჭიღიტაშვილმა სიგელებით დააჯილდოვა ნათია და ანა. უფროსების მიერ გამოხატული თანადგომა და სიყვარული ახალგაზრდებისათვის უდიდესი სტიმულია.

დიდი მადლობა, ჩემო ნათია, იმ მშვენიერი დღისათვის, რომელიც შენ გვაჩუქე. გჯეროდეს, ეს წუთები მთელი ცხოვრება დაუვიწყარ მოგონებად დაგვრჩება. და ბოლოს, მინდა გისურვო, რომ მშობლიურ სკოლაში ჩატარებული პირველი სოლო-კონცერტი ყოფილიყოს დასაბამი შენი დიდი წარმატებისა. სოფელ სამრეკლოს ბევრი სასახელო შვილი ჰყავს. ჩვენს სკოლასაც მრავალი წარმატებული თაობა გაუზრდია. შენც მათ რიგებში მენახე, ჩემო მშვენიერო ნათია.

მარინე ყოჩიაშვილი,
სამრეკლოს სკოლის VIII კლასის დამრიგებელი.

ულოცავენ!

თამილა ჯავაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, დაუზარელო დედიკო! გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს და აგრეთვე დაბადების დღეს - 17 მარტს. სამოცი შეგნებული გაზაფხული განვლე შენი საყვარელი შვილებისა და შვილიშვლების ზრუნვა-სიყვარულში.

გისურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას და უამრავ წარმატებას მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან.

მაგდა, ბესიკი, ნათია ფიროსმანაშვილები,
გიორგი ფიროსმანაშვილი, ნინო, ანი, თაკო
ახალაურები და მარიამ კაკალაშვილი.

მანანა გოგაშვილს!

ქალბატონო მანანა, გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების 65 წლისთავს. ამბობენ,ქალებს არ უყვართ ასაკის გამჟღავნებაო. ეს შენ არ გეხება, რადგან არავინ დაიჯერებს, ისე მხნედ და ლამაზად გამოიყურები. სულითაც ლამაზს და ზნეკეთილს, კარგ პროფესიონალს და ყველასთვის მზრუნველს ხალხი გაფასებს და სიყვარულით გიხდის სამაგიეროს. კვლავაც დიდხანს ემსახურე ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობას. გახსოვდეს, მთელს უბანს შენი იმედი აქვს! იცოცხლე და გაიხარე!

კლარა ოზაშვილი და ნაირა გორაშვილი ოჯახებით.

ნელი შოშიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო და მშვენიერო მეგობარო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო -65 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს შენს ბედნიერ ოჯახთან ერთად. ათეული წლებია, ერთად მოვდივართ როგორც კოლეგები და როგორც ადამიანები და გვიხარია, რომ ჩვენს ურთიერთობას ბზარი არასოდეს გასჩენია. ერთად ვიქნებით კვლავაც მრავალი წელი. უფალი იყოს შენი შემწე შინ და გარეთ. გვიყვარხარ და გვეიმედები, როგორც ერთგული და გულწრფელი ადამიანი.

მზია ხატიაშვილი, ჯულიეტა წივილაშვილი,
ლალი აბაშიძე და ოლიკო კიკილაშვილი.

ნინო წელაურს!

ძვირფასო ნინო, პატივისცემით და დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ ჯანმრთელი, იცოცხლე, იდღეგრძელე და გაიხარე შენს ოჯახთან ერთად. ღმერთის წყალობა არ მოგაკლოს და ყველა სურვილი აგისრულოს, რაც გულში გაქვს. ყოველთვის იყავ ჩვენი ჯანმრთელობის საიმედო დამცველი და კვლავაც გვეიმედებოდე დიდხანს.

შენი მეგობრები:
ნელი გოგეჯიშვილი და ნაირა გორაშვილი.

მანანა გოგაშვილს!

ძვირფასო დედა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს და მრავალ ბედნიერ დღეს მამასთან-სპარტაკ ლაპიაშვილთან ერთად. თქვენ ერთგულად ზიდეთ ცოლქმრული უღელი და ყველაფერი გააკეთეთ ჩვენთვის, რისთვისაც მადლობას გიხდით და უფალს ვევედრებით, დიდხანს არ მოგვშლოდეს თქვენი იმედი და მზრუნველობა.

სიყვარულით,
შვილები: სოფო და მაკა ოჯახებით.

ულოცავენ!

გაზაფხულის შემობრძანებას, ქალთა დღესასწაულებს- დედის დღესა და 8 მარტს ულოცავენ

ნაირა გორაშვილს! ეთერ ფაცურიას!
ინგა შიოლაშვილს! ნანა ჭიჭინაძეს!

“სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა”- შოთა რუსთაველის ეს აფორიზმი სავსებით მოგესადაგებათ თითოეულ თქვენგანს. საზღვრისპირა დედოფლისწყაროს რაიონში თქვენ ხართ დესპანები, თქვენ ბრძანდებით ის ქალბატონები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გაზეთ “საქართველოს ლირიკისა” და გაზეთ “შირაქის” მეშვეობით ავრცელებთ ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებას, რითაც ფასდაუდებელი ღვაწლი მიგიძღვით მომავალი თაობების წინაშე.

დიდი მოწიწებით და პატივისცემით,
რეზო მიშველაძე-საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;
თემურ ჩალაბაშვილი-საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;

ყურადღება!

1მარტიდან ქალაქ დედოფლისწყაროში ფუნქციონირებას იწყებს ინკუბატორი. მიიღება შეკვეთები წიწილებზე. აგრეთვე შევისყიდით საინკუბაციო კვერცხს ქათმის, ინდაურის, ციცარის, მწყერის და ხოხბის. მისამართი: კოსტავას ქუჩა N14. შემოსასვლელი პოლიციის, ან ბაზრის მხრიდან, კულტურის სახლის გვერდით.

579 33 07 41, 555 00 79 16, 598 00 79 16,
557 23 88 99, 571 15 72 86, 790 40 82 15.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 16.03	სამშაბათი 17.03	ოთხშაბათი 18.03	ხუთშაბათი 19.03	პარასკევი 20.03	შაბათი 21.03	კვირა 22.03
დღე	4°	0°	1°	3°	2°	4°	6°
ღამე	2°	4°	1°	1°	1°	3°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K